



არსენალი



№16 (163). 16-17 დეკემბერი-ნოემბერი-დეკემბერი. 3-16 აპრილი, 2012 წ. შანი 2 ლარი



14 აპრილი, 13 აპრილი, 8 აპრილი —
რატომ იწყებოდა საქართველოში
ძიებები ზაფხულში...

1992 წლის განთიადის
დასაწყისის უსწორი
დატყვეობა

ქუთაისში ამერიკელების
მიგაპიტი შექმნილი
სადასახლო-მოიხრეზე ბრძოლა

როგორ ტოვებდნენ ქართველი
მიგაპილები კოდორის ხეობას



ოკუპირებული
ცხინვალის
რუსული
სამხედრო ბაზა

18



ზინ ეშუქრება
და როგორ
იხავენ
ლონდონის
ოლივიუდას

16



უჩინეაჩინის ქული
ბანკაბისტვის

50

სნაპლებები
„სოსუვის“
მონანილეობით

14



ქოსოვო —
ახალი
„ცხვი რეის“
დასაწყისი

24



ინდური
INSAS,
როგელიც
„კალაუნიკოვი“
არ არის

53



სარჩევი

- 4 **სამხედრო სიხსლავები** **კალიფორსიაში**
- 7 14 აგვისტო, 13 აგვისტო, 8 აგვისტო — რამეთუ ინვაზიამ საპარტივლოში მოხაი ზაფხულში... **მხარეში**
- 9 რუმორი ტრეპლანე ქართული მხარეში **მოის გამოსახილი**
- 12 კავასიური მოვლენის მიხილივა **რეპორი**
- 14 სნელებები „სრუხის“ მოწინაღობით **სანაირი დანა**
- 15 ვნებათაღვლა სირიის ქიხი რარაღა **საგონოლოში**
- 16 ვინ ვეპარება და რუმორი ინავე ლინდონის ოლიგონაღა **საქონა**
- 18 ოქაპირაგული სხინვალის რუსული სამხედრო ბაზა **საფრთხე**
- 21 უნარული ვეგაგეარები: მიხევი ხელები საფრანგეთის პრეზიდენტის დანასაღა **საილხელო სამსახურები**
- 24 კოსოვო — ახალი „სიხი მოის“ ნაგონაგონს ერთ-ერთი საბაგი **კირიხიანი, კონფლიქტები**
- 30 500 ფაქტი მკორეების იმპორიოღა **ვეიშარები**
- 34 1992 წლის განთიღის დანაღი **აფხაზეთის ომი**
- 38 გუსტავ II **100 დიღი მხარეთმთარები**
- 40 ნაღორება „ტირინუსა“ **საქმეპრახიები**
- 43 გამოსხაღებელი დანიროსირიება ჯუნგლებით: მაღალინა-ინფორმირიონს კონფერენსათა (1962-66 წწ) **ლოკალური მოხები**
- 45 ქუთისიში ანაგინაღვლის მიხაპიით მუქინილი საღანგო-მოხირიბა გრიბაღი **სამხედრო თეხები**
- 50 უჩინეაჩინის ქული განაგონსთიონს **ინოვაციური ტექნოლოგიები**
- 53 ინღური INSAS, რუმელის „კალანსიოვი“ არ არის **„არანაღელი“ იარაღის მაღაზია**

რედაქციისგან

ინაგროში ავღანეთში ნაღმსატორტის ნაღმის აფეთქების დანაღი რილი 31-ე პატალიონის კაპრალი გევი ფანცულაია, მიუხედავად ექიმების მცდელობისა, გამოფეგანათ კომატოზური მდგომარეობიდან, სა-მწუხროდ, ექვის თვის შემდეგ გარდაიცვალა. ეს უკვე მე-17 ქართული სამხედრო, რომელიც ავღანეთში, პილმენდის პრეინციამში თალიბების თაღდსხმას შექირა, ქართული სამხედრო კონტინენტით რომ არ იფოს ამ საშიშ ავღანურ პროინციამში, აშხელა მსხვერპლი ნამღვიღად არ იქნებოდა. მიუღებელია თაღდცივის სამინისტროს პოზიცია, რომელიც კვლე განაგრძობს ავღანეთში დანაღლ სამხედროებზე ინფორმაციის მინქმალღას, რის გამოც საზოგადოებას არა აქვს სრულყოფილი ინფორმაცია ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინენტზე.

მოთარი რედაქტორი
ირაკლი ალღაღვიშილი
პასუხსიტგებელი რედაქტორი
თიმოზო ჩანანშიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მონსიავშილი

ჭურადღეა!
გამოიფერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შიღ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დანაღმისგან
განსაღმების განაგაქღგა
აპრამღღულია

განღემღულია დანაგაქღღად
30.07.2012

გაზეთი „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისაგართი:
თბილისი, ორსენიღის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარემღღამო განყოფიღება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenalii@kvirspalitra.com
ჭურანალი გამოღის
ორ კვირაში ერთხელ
პარანაგმის



სხლოდ ისრაელში: ლაპაზიანი გიჟინითა და ავგოვაჟით



თულ-აფეთის სანაპიროზე გადაღებული ტრუსის აპარა ებრაელი ლაპაზიანის ფოტომ, რომელსაც მზარს ავტომატ M16 უმშვენებს, არა მხოლოდ ისრაელის, მსოფლიოს მედიასაშუალებების გვერდები მოიარა. მისის ბოლოს გადაღებულმა ამ ფოტოსურათმა, კომენტარით „მხოლოდ ისრაელში“, პოპულარობა თავდაპირველად სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მოიპოვა, შემდეგ კი ამერიკული და ევროპული წამყვანი გამოცემები დაინტერესდა.

ვინაა ავტომატიანი ლაპაზიანი, ინფორმაცია ამ დრომდე არ მოიპოვება, თუმცა, ამას არც აქვს არსებითი მნიშვნელობა, — სურათი დოკუმენტურია, შთამბეჭდავი და რაც მთავარია, ისრაელის არმაში მშენიერი სექსის წარმომადგენელთა ფოფას ასახავს.

ცნობისთვის: ებრაელ სამხედრო მოსამსახურე ქალებს წესად აქვთ იარაღის ტარება სამხედრო ბაზიდან გასვლის შემდეგაც, რადგან მისი უფურადღებოდ დატოვება მკაცრად ეკრძალებათ და დაკარგვისთვის ციხეც ეუქრებათ.

ერთი სიტყვით, ისრაელში ავტომატიანი ქალი-სამხედროების გამოჩენა არაფის აკვირვებს, თუმცა უცნაური ისაა, გოგონა პლაჟზე თუ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, საცურაო კოსტიუმში რატომაა ან სადაა ავტომატის მჭიდი?

საგაგაჟო როდო — ჯერ სხვაარი განკლმ!

აშშ-ში, ნევადის შტატში ტრადიციული როდო — Silver State Stampede 2012 გაიმართა, რაც თვალის საამებელი სანახაობაა, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღებას როდოს წინმსწრებ, ასევე ტრადიციულ ღონისძიება „ცხერების გახუნახე“ შეაქვრებთ.

აღბათ გაინტერესებთ, რა უნდა აკეთებდეს როდოსთან ცხერის, ან საერთოდ, რად უნდა ამ ცხოველს გახუნდეს? ის ხომ ისედაც უწყინარი ცხრეულია. საქმე ის არის, რომ ორდანი ზუთ წლამდე ბიჭუნებისთვის (ასპარეზზე სწორედ ამ ასაკის „კოუბოები“ გამოიძინან), რომლებიც ცხრეულის დამორჩილებას სწავლობენ, ცხრებიც



მონსტრები არიან. სანახაობა, ცოტა არ იყოს, სარისკოა, თუმცა იქვე ტრიალებენ პაუშკების მამოკობიც, რომლებიც ყოველ წამს მზად არიან შეიღებს ხელი წაშუკლონ.

უპილოტო ლაზერული კვებით 48 სათი იოჩინა

კომპანებმა Lockheed Martin-მა და Laser Motive-მ ლაზერული კვების ინოვაციური სისტემა წარმოადინეს, რომელიც უპილოტო საფრენი აპარატებისთვისაა განკუთვნილი. უპილოტო აპარატმა Stalker-მა, რომელიც მიწის ზედაპირიდან ლაზერის სხივით იკვებებოდა, პაერში 48 სათი დაჰყო.

Stalker-ი მომცრო ზომისა და მასის უხმაურო აპარატია, რომელსაც აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალები 2006 წლიდან დაზვერვისთვის იყენებენ. ამჯერად კი ამერიკელმა ინჟინერებმა აპარატს ლაზერული გამოსხივების მიმღები მოწყობილობა დაუყენეს და სხივის ენერგია ელექტროენერგიად გარდაქმნეს.

ექსპერიმენტის დროს Stalker-მა მილოდინს გადააჭარბა: ფრენის დასრულების შემდეგ მის აკუმულატორებში იმავე მძლავრი მუხტი აღმოჩნდა, ვიდრე აფრენის მომენტში იყო.

აპარატის დისტანციური კვების სისტემის გამოცდა სამხედროებსა და სპეცსამსახურებს ფართო ტაქტიკურ შესაძლებლობებს უხსნის. მწელად შესაძნევი, მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატები აქამდე ფრენის დაბალი ხანგრძლივობით გამოირჩეოდა და ხანგრძლივი პატრულობისთვის არ გამოდგებოდა.



გერმანიის კონტრაზვერსი იმიჯის გაუმჯობესებას კომისიებით ცდილობს

გერმანიის სამხედრო კონტრაზვერსი (MAD) იმიჯის გასაუმჯობესებლად ორიგინალურ მეთოდს მიმართა. ჟურნალ Y-ის ახალ ნომერში, რომელსაც ბუნდესვეერი გამოცემის, კონტრაზვერსების საქმიანობისა და მიმდინილი კომიქსი გამოქვეყნდა.

შეფთობილი კომიქსები „MAD-ის კუთილი აგენტების“ სამსახურებრივ სტუდიებს აღწერს, რომლებიც ვაშუშების, ისლამისტებისა და ნეონაციისტების გამოვლენაზე ზრუნავენ.

ამასთან, ჟურნალში კონტრაზვერსების სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელთან, კარლ-ჰინრიხ ბრიუსელბახთან ინტერვიუცაა, სადაც ის სენსაციურ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, სამხედრო მწვერულებს საზოგადოებისგან მალულად საქმიანობა დიდი ხანია მოპებურდათ. ცნობისთვის: აქამდე სამხედრო კონტრაზვერსი ერთ-ერთ ყველაზე დახურულ სპეცსამსახურად მიიჩნეოდა.

საერთოდ კი MAD-ის ხელმძღვანელობას ამ პროპაგანდისტულ ნაბიჯის გადადგმა გერმანულ პოლიტიკოსთა კრიტიკამ აიწიკრებინა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქვეყანას ამ ფორმის კონტრაზვერსების სამსახური, რომელიც „ცევი ომის“ გადმონათია, არ სჭირდება.

ლონდონის პოლიციას გერმანიის პოლიციის საკვების მიღება უპასუხებს



დიდი ბრიტანეთის პოლიციის ხელმძღვანელობამ თავის თანაშემრომლებს, რომლებიც ლონდონის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებაზე იზრუნებენ, საზოგადოებრივ ადგილებში, სტადიონებსა და სხვა სპორტულ ობიექტებზე ბრენდირებული შეფუთვის საკვებითა და სამკვამლთი გამოიჩინა აუკრძალა.

აკრძალვა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის იმ სპონსორების (Coca Cola, Cadbury's, McDonalds) ინტერესთა დაცვას ემსახურება, რომლებიც საკვებ პროდუქტებზე აწარმოებენ.

საბაზრო კანონების დაცვაც ისევე აუცილებელია, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის, თუმცა ბრიტანული პოლიციელები ამ აკრძალვას არცთუ გაცხადებენ და მასშედიანში საკვამლად კრიტიკული კომენტარებითაც გამოიჩინენ.



სამხედრო გარდაცვალების შემთხვევაზე!

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ინსტრუქტორ ლუის უოლკერს, რომელიც ერთ-ერთი კურსანტის გაუკატორებშია ბრალდებული, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამ დანაშაულის გარდა, ტეხასის ბაზის ყოფილ უფროს სერჯანტს სხვადასხვა სახის სექსუალური ძალადობის კიდევ 9 შემთხვევა ამოუქექეს. სულ კი სასამართლომ დანაშაულს 28 პუნქტი ცნო. ინსტრუქტორს ყველა წოდება ჩამოართვეს, გაუუქმეს ყველა პრვილეგია და სამხედრო სამსახურიდან სამუდამოდ მოკვეთეს.

უოლკერი ერთადერთი არაა, ვინც ტეხასის შტატში ლეკლენდის ბაზის სექსუალური ტიპის სკანდალებით სახელი შეუბღალა. ამ სახის დანაშაულისთვის ამჟამად კიდევ ხუთი ინსტრუქტორის საქმე ძიებაშია და კიდევ 35-ს კი ეჭვმიტანილის სტატუსით დაკითხავენ. იმისი საქმიანობას დროებით ჩამოშორებული არიან.

ცნობისთვის: ლეკლენდის ბაზაში წერთან აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ყველა მოსამსახურე გადის. ბაზა 35 ათას კურსანტს ამზადებს, რაზეც 475 ინსტრუქტორი ზრუნავს. კურსანტთაგან მხოლოდ ქალია, ხოლო ინსტრუქტორები კი მხოლოდ მამაკაცები არიან.



აშშ-ის არმიის ქსელი-ზრანსუორები პაპირებს სისხლს გაუშრობს



კომპანია Raytheon-მა აშშ-ის კვლევითი ცენტრიდან 3,1 მლნ დოლარი მიიღო, რათა გაუმჯობესებოს ცვალებადი კონფიგურაციის მქონე კომპიუტერული ქსელი შექმნას.

დღეს ყველაზე თანამედროვე ქსელებსაც კი აქვთ უსაფრთხოების სისტემები „ზერე-ლები“, რაც საშუალებას აძლევს ჰაქერებს, მოიპოვონ საიდუმლო ინფორმაცია და აწონ სამხედრო თუ კომერციული ქსელები სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტის მუშაობას.

ახალ კომპიუტერი ქსელი MORPHINATOR-ი განსაკუთრებულ ტექნოლოგიას გამოიყენებს, რასაც კიბერმანფრთხი შეარქვებს. მისი არსი ქსელის პარამეტრების, ბმულებისა თუ კონფიგურაციების გაუმჯობესებული ცვალებადობაა. შედეგად, მოწინააღმდეგე ქსელზე X სი-ზე თუ დასახმისას ინსტრუმენტების შექმნას ვერ შეძლებს, რადგანაც იმ დროისთვის ქსელის მახასიათებლები მრავალხის გადასხვავებული და ძველი „ზერელებიც“ თავისთავად გამჭრალა იქნება.

გასაგები ერთი რომ ეთქვას, პაკერისთვის ქსელში შეღწევა ისე გართულებდა, როგორც მკერავისთვის გაუმჯობესებით მოძრავი ნემსის ფუნქში მათის გამჭრევა.

ერთი ფაა, რომ MORPHINATOR-ის შექმნა ტექნიკურად შეუძლებელი არ არის, თუმცა პრობლემას მისი მართვის სისტემა ქმნის, რადგან თავის ადმინისტრატორი ასეთ ქსელზე ხომ სჭირდება.

ახალი კონკრსი: დაახლოებით და მოიგა 50.000 დოლარი!

თავდაცვის სფეროში კვლევითი სააგენტო DARPA აზნადებს ახალ კონკრსს, რომელიც მონაწილეებს მანის აძლევს, აშშ-ის თავდაცვის უწყების დიდი სამსახური გაუწიონ და თან მოეარი პრისი – 50 ათასი დოლარი დაისაკუთრონ.

კონკრსის მიზანი ისეთი საშუალების შექმნაა, რომელიც საფრენი აპარატების ვიდეოსენსორებიდან, ქუჩის ვიდეოკამერებიდან, მობილურებიდან და სხვა საშუალებებიდან მიღებულ ვიზუალურ ინფორმაციას გაანალიზებს და სასარგებლოს ამოარჩევს.

დიდი მოცულობის მონაცემთა გადამამუშავება, რომელზეც პენტა-

გონის დაზვერვის გეგანტური მანქანა ზრუნავს, დიდი ხანია ამერიკელ სამხედროთა საკვანძო პრობლემად იქცა. მხოლოდ აშშ-ის სამხედრო-საპოლო ძალებში 5000-ზე მეტი კაცი მზერავთ თვითმფრინავებიდან მიღებული გეგაბაიტობით ინფორმაციის გასანალიზებლად მუხლანაუსხლად მუშაობს. სწორედ კრუდსონისნავით, ანუ საქმეში სასოფადობის ჩართულობით ცდილობენ ამ პრობლემის მოგვარებას ამერიკელები – იქნებ ყველაზე აქტიურმა და ნიჭიერმა კონკურსანტებმა მაინც შეძლონ ზღვა ინფორმაციის გადასამუშავებლად ოპტიმალური ალგორითმის შექმნა.


„გეგაბაიტური“ იარაღის მოგზავნილთა კონკრსი

ხომ არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი იარაღი ნაკლებად საინტერესო და მომხიბლავია და უპირატესობას ძველებურ, მამაპაპისეულ ცეცხლსასროლ იარაღს ანიჭებენ.

სწორედ ასეთები კანადის ქალაქ ჩილეოკეში ყოველწლიურად იკრებიან და კათის თოვლის სროლაში შეჯიბრებას მართავენ.

წელს ჩატარებული ტურნირი, სახელად Buffalo Shoot-ი, საიუბილეო – მეთომცე იყო. კათის თოვებითა და დამბეებით შეიარაღებულ მამაკაცები ამჯერადაც შეჯიბრდნენ ერთმანეთს წუბინობაში. მიზანში სროლა მონაწილეებს როგორც ფუნქუ მდგარს, რკინის კასრისგან საგანგებოდ გაკეთებულ „ცხენზე“ ამხედრებულებსაც მართობ.

საინტერესოა, რომ ტურნირზე მსაჯები გამარჯვებულის გამოვლენისას არ მხოლოდ მიზანში სროლის შედეგებს თთავებს სწინაყენებენ, არამედ იმასაც, თუ რამდენად ესადაგება მონაწილის ჩაცმულობა და იერი ძველ ეპოქას.



14 აგვისტო, 13 აგვისტო, 8 აგვისტო რაზმი იწყებოდა საქართველოში ომები ზაფხულში...



10 წელი აუხავთის მოის დაწყებიდან, 4 – ცხინვალის ომიდან – აგვისტო საქართველოს ბერიგორიანზე ომების დაწყებამდე ასოხირდება

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაწყებული საბრძოლო მოქმედებებიდან ერთ წელში ოფიციალურმა თბილისმა დაკარგა კონტროლის შექანინში საქართველოს ამ რაიონზე; 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში დაწყებულ ომს იგივე მოჰყვა. ორივე ომის შედეგად ნახევარ მილიონამდე გაიზარდა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული ქართველი მოსახლეობის რაოდენობა.

შემთხვევითი იყო თუ არა, რომ ეს ორი ტრაგიკული ომი 1992-სა და 2008 წლებში სწორედ ზაფხულში, აგვისტოში დაიწყო.

არც ის უნდა დაეფიქსოთ, რომ 2004 წელს ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების ყველაზე აქტიური ფაზის დაწყებაც 13-19 აგვისტოს დაემთხვა.

მწვინა ამის დამტკიცება, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები სწორედ ზაფხულს და თანაც აგვისტოს რომ ემთხვევა,

შემთხვევითი შეიძლება სულაც არ არის.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ზაფხულში ტყეები გაფოთილია, რაც უზრუნველყოფს ტყის მასეში შეიარაღებული დაჯგუფებებისა და საბრძოლო ტექნიკის გადამალვას, ეს სერიოზული სამხედრო ნიუანსია.

აფხაზეთის ომის დასაწყისში, 1992 წლის აგვისტოში, ტყის ფაქტორის ის სეპარატისტული შეიარაღებული ჯგუფები იყენებდნენ, რომლებიც ოჩამჩირე-სოხუმის გზის მონაკვეთზე თავს ესხმოდნენ ქართული გვარდიის კოლონებს.

2008 წლის აგვისტოშიც, უკვე ცხინვალის რეგიონში, მაგალითად, ცხინვალის აღმოსავლეთ მიმართულეობა, ტყეებში ადგილობრივი შეიარაღებული სეპარატისტული იმალებოდნენ.

თუმცა, ზაფხულში ტყეებში პარტიზანული ტიპის ჯგუფების დამალვა მთავარი გარემოება არ ყოფილა.

ზაფხული და განსაკუთრებით აგ-

ვისტო საქართველოს ტერიტორიაზე ნაკლებნაღვექანია, რაც ნაკლებად ზღუდავს საბრძოლო ავიაციას, მათ შორის – დაბალ სიმაღლეზე მფრენი მიიერიშე თვითმფრინავებისა და დამრტყმელი შეუულმფრენების ფრენას.

საბრძოლო ავიაციის ინტენსიურად გამოყენებისთვის საუკეთესო ამინდით სარგებლობს ის მზარე, რომელსაც დიდი უპირატესობა აქვს ავიაციაში და პაერში გაბატონების ზარჯზე შეუძლია მოწინააღმდეგის სახმელეთო დანაყოფების წინსვლა საპაერო დარტყმებით შეაჩეროს. ანუ ზაფხულის და განსაკუთრებით აგვისტოს უღრუბლო ქართული ცა რუსულ საბრძოლო ავიაციის საუკეთესო საშუალებას აძლევდა, გამოეყენებინა უდიდესი უპირატესობა პაერიდან დაბომბვის სახით, რაც მან შეასრულა კიდეც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

1994 წლის დეკემბრის ბოლოს, რედესაც რუსეთის ფედერალური ძალები

რატომ ემთხვევა ოლიმპიადები საქართველოში ომაზის დაწყებას?!

ჩვენს მკითხველს დამთხვევათა ერთი შეხედვით უცნაურ ჯაჭვს შევასხენებოთ 1992 წლის 14 აგვისტოს, როდესაც აფხაზეთის ომი დაიწყო, ესპანეთში, ბარსელონაში 25-ე საზაფხულო ოლიმპიადა ნაშინადაც; 1998 წელს, გალის მოვლენების შემდეგ, ააზონის ქალაქ ნავანოში მე-18 ზამთრის ოლიმპიური თამაშები დაიწყო; 2004 წლის 13 აგვისტოს, როდესაც „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლება ცხინვალთან ომში აღმოჩნდა ჩართული, საბერძნეთში, ათენში 28-ე საზაფხულო ოლიმპიადა გაიხსნა; დაბოლოს, 2008 წლის 8 აგვისტოს ერთდროულად დაიწყო საქართველო-რუსეთის ომი ცხინვალთან და 29-ე საზაფხულო ოლიმპიური თამაშები პეკინში... სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადამდე ვერ კიდევ ორი წელია, მაგრამ წელს, 27 ივლისს, ლონდონში 30-ე საზაფხულო ოლიმპიადა გაიხსნა. იმედოვნით, რომ ეს სამხილი ტრავმაცია არ გაგრძელდება და მორიგი ოლიმპიადის გახსნა, საქართველოში ახალი ომის დასაწყისს არ დაემთხვევა.

თის სამხედრო დაჯგუფების შემოჭრა როკის გვირაბის გველთ საქართველოს ტერიტორიაზე. ცხინვალის რეგიონში ბერად გაჭირდებოდა და გაჭიანურდებოდა.

ამის მხზენი მართ ის კი არ იქნებოდა, რომ რუსეთის საბრძოლო ავიაცია ცუდ საფრენონო ამინდის გამო ვულარ შექვლენდა საპაერო მხარდაჭერას, არამედ თოელი, ნამქერები, ზეგები, რომლებიც ხშირად ჩრდილო ოსეთის იმ ერთადერთ გზაზე, რომელიც როკის გვირაბისკენ მიდის. ზამთარში არანაკლებ რთული გზაა როკის გვირაბიდან ცხინვალისკენ და მისი გადალახვა ჯეჰანკელონებს ძალზე გაუჭირდებდათ.

გარდა ამისა, შემოდგომა-ზამთარში შუე ზეგამც ძველდება ნაოსნობა, რაც,



რუსული საბრძოლო ავიაციისთვის აგვისტოს უდრებელი ქართული ცამისწრება აღმოჩნდა

ჩენქეთის დედაქალაქ გროზნოში შეიპტრნენ, მათ ქალაქის ქუჩებში ბრძოლისას დიდი დანაკლისი განიცადეს. შემდგომში რუსი გენერლები აღიარებდნენ, რომ მისეზი უშედეგო საახალწლო იერაშისა გროზნოზე, ისიც იყო, რომ მოიერიშე თვითმფრინავები და დამტრემელი შეველმფრენების კეპაეები ვერ ემარებოდნენ რუსულ დანაყოფებს.

რუსულ დანაყოფებს კი იმიტომ არ ჰქონდათ საპაერო მხარდაჭერა, რომ ზამთარში ჩრდილო კავკასიაში ხშირდადა ნისლი, ღრუბლიანობა, საზოგადო, რთული მეტეოროლოგიური პირობები.

1994 წელს რუსული მოიერიშე-

ბი და შეველმფრენები არ იყვნენ აღჭურვილი ნავიგაციისა და ცეცხლის მართვის თანამედროვე ხელსაწყოებით, ხოლო პილოტები კარგად არ იყვნენ მომზადებულნი როულ მეტეოროლოგიურ პირობებში საფრენად, რის გამოც რამდენიმე რუსული მოიერიშე ჩენქეთში მიუბს შეეჯახა.

1994 წლის შემდეგ 14 წელი იყო გახული, მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდიდან ომშიც არ იყო მალად ღონეზე რუსი პილოტების მომზადება და რომ არა უდრებელი ცა, ვერც კი იფრენდნენ ქართულ ცაში.

2008 წელს საბრძოლო მოქმედებები აგვისტოს ნაცვლად ნოემბერში ან დეკემბერში რომ დაწყებულიყო, რუსე-

თავის მხრივ, გაართულებდა რუსული დიდი სადესანტო ზომალდებიდან დესანტის გადასხმას აფხაზეთის სანაპიროზე. აგვისტოში კი ასეთმა რუსულმა ზომალდებმა დიდი პრობლემის გარეშე გადასხეს საზღვაო დესანტი ნოვოროსიისკიდან ომაშირეთსთან.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ ვერც 1992 წელს, ვერც 2004 და მით უმეტეს, ვერც 2008 წელს ვერ გაითვალისწინა ზაფხულის ფაქტორი და კარგი საფრენონო ამინდი რუსეთის საბრძოლო ავიაციისთვის და ვერ გამოიყენა ბუნებრივი შემზღვევი ფაქტორი — კავკასიის ქედი და როკის გვირაბის გზების გადალახვის სირთულე.

ირაკლი ალავაშვილი

ქართული ჯარის მიერ კოდორში
დატოვებული I22 მმ-იანი პაუზიცა D-30



როგორ ტოვებდნენ ქართველი მეგობრები კოდორის ხეობას 2008 წლის აგვისტოში

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დეტალებზე არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა. შესაბამისი უწყების მიერ დაბლოკილ გასაიდუმლოებული ინფორმაციების მიუხედავად, ჟურნალი „არსენალი“ აქტიურად ცდილობდა მკითხველამდე მიეტანა, რა ხდებოდა ნ-დღიანი ომის დროს, როგორი იყო მეომრების განწყობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება...

ასეა თუ ისე, ჯონკრეტულად ცხინვალში განვითარებული პროცესებისგან განსხვავებით კოდორის ხეობასთან დაკავშირებით ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობს. დღემდე უცნობია, რა მოხდა სინამდვილეში ზემო აფხაზეთში 2008 წლის აგვისტოს...

ჩვენი ახლანდელი რუსკონტენტები კოდორის ამბებს იხსენებენ და დეტალურად ჰყვებიან.

ზურა, 28 წლის:

— 8 აგვისტოს, როგორც კი საპაერო შეტევა დაიწყო, გავრცელდა ინფორმაცია, ჩვენს სამხედრო შენაერთებში წინააღმდეგობის გაწყვეას არ აპირებდნენ, რადგან აზრი არ ჰქონდა. მთავარი იყო, იქაურობა უდანაკარგოდ დაგვეტოვებინა და კიდევ, ასევე ძალიან

მნიშვნელოვანი იყო, რომ მტერს საბრძოლო ტექნიკა ხელში არ ჩაეარდნოდა.


ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან მეთაურობა ძალიან დაბნეული იყო. უფრო სწორად, როგორც კი მოწინააღმდეგემ პაეროდან პირველი იერიში განახორციელა, მაშინვე პანიკა დაიწყო.

ყო. ჩვენ იმ ადგილას ვიყავით განთავსებული, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს საკმაოდ დიდ დაჯგუფებას ეკუთვნოდა.

ნაწილის უფროსმა გვითხრა, სახმელეთო სამხედრო ოპერაციებს აზრი არა აქვს, ამიტომ, შევეცდებით ვეღვაზე უსაფრთხო გზა ვიპოვოთ და სამშვიდობოს გავიდეთ. რამდენიმე წუთში ისევ ინტენსიური დაბომბვა დაიწყო. წერტილგან დარტყმებს ჰკავდა, — იბომბებოდა ქართული პოლიციის პოზიციები და დევნილობაში მყოფი აფხაზეთის სამთავრობო კოტეჯები, რომლებიც ჩვენ თვალწინ ფერვლად იქცა.

ის რამდენიმე წუთი, სანამ მეთაურობა გადაწყვეტილებას მიიღებდა, საუკუნედ იქცა, — ვუყურებდით ცეცხლისგან გაქითდებულ ცას და ფოველი წუთი უკანასკნელი გვეგონა.





რუსული ჯავშანტექნიკის კოლონა ხეობის სიღრმისკენ შეემართება

ვერც თავის გარიდებას ვახერხებდით ჩვენ თვალწინ ალბათ 400-500 მეტრზე ჭურვი აფეთქდა. თქიდან ცეცხლი ჯერ მანქანებს, შემდეგ კი საწილებებს გადაეღო. აფეთქების ხმამ კოტეჯებისა და სკოლის შენობის ფანჯრები ჩამასხვრია...

როგორც ექნა, პოზიციების დატოვების ბრძანება მივიღეთ. მეთაურის ბრძანებას კიდევ რამდენიმე წუთი რომ დავუკვიანა, ძალიან ბევრი იქაურობას თვითნებურად დატოვებდა, რადგან დარწმუნა თვითმკვლელობის ტოლფასი იყო.

— ალბათ სამშვიდობოზე გამოსვლაზეც რისკებთან იყო დაკავშირებული...

— რა თქმა უნდა, წამოსვლამდე რამდენიმე წუთით საპაირო იერიში შეწყდა. გვიბრძანეს, რომ ეს დრო უნდა გამოვიყენებინა, — „ტრაფიკი არ დარჩება!“ — თქვა ჩვენმა ამოთაურმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რის წამოღებასაც შეუძლებდით, უნდა წამოგვედო. დანარჩენი კი ადგილზე უნდა გაგვენადგურებინა.

ბიჭებმა რამდენიმე კოტეჯს ცეცხლი წაუკიდეს. როგორც კი ჩვენი მოძრაობა მიწინააღმდეგე მხარემ შენიშნა, ისევ იერიშზე გადავიოდა, — ამის მიუხედავად, არტილერიის გარდა ვეკლავდნენ, რისი წამოღებაც შეეკებოლო, სამხედრო მანქანებში ჩაყვითროთ, ნაწილი ადგილებზე უაფეთქეთ, მთი შორის ტყეა-წამალი და სოფელ ომარშარასკენ დავიძარით. დღემდე გული მწყვედა, რომ იქ დავტოვეთ ჩემი საყვარელი ამერიკული ავტომატი „კ-4“...

— რატომ დატოვეთ, მისი წამოღების საშუალება არ იყო?

— არა, ამ იარაღით რუსული „კალშნიკოვების“ შეცვლა იკვებებოდა, მაგრამ იარაღი ტყეა-წამლის გარეშე ამოვიგიტანეს. ცარიელი ავტომატების თრვას აზრი არ ჰქონდა. წარმოდგენულ ვითარებაში მოვახერხეთ და რამდენიმე ადგილი დავჩაღძეთ, „სატყუარებიც“ გაუაყვით და წამოვედით.

ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. ჩვენებს უნდა გაეთვალათ, რომ რუსები აუცილებლად გამოიყენებდნენ და იმ რაოდენობის შიშში საბრძოლო ტექნიკა არ დღნივ აეზიდათ, უნდა სცოდნოდით, რომ უბრალოდ ვერ გამოიყენებდნენ... ეს ჩემი, ერთი რიგითი ჯარისკაცის აზრია.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ კოლრის ხეობის დატოვებისას ქართულ შენაერთებს საბრძოლო ტექნიკა არ გაუნაგურებია...

— დიახ, ვიცო, რომ ასეც ითქვა, მაგრამ მე იმას გიყვებით, რისი შიშით ვინ უნდა ვიყავი, თუქცა, ბიჭებიც უნდა ვიყავი აქეთ ამბებიც მოვისმინე, რომ მათ ვერ მოასწავს საბრძოლო ტექნიკის გაუნაგურება.

ერთ-ერთი ვერსიით, აფხაზებმა ქართულ შენაერთებს ხეობიდან კორი დღერი გაუკეთეს და ამიტომ არ გაანადგურეს ტექნიკა. ასეც რომ ყოფილიყო, რა? აბა, რა უნდა ექნათ, ბიჭები იქ ჩაიხიციან?

როგორც შემდეგ გავიცე, ამისთვის დრო მოგვეცა, მაგრამ არტილერიის გარდა, ჩვენ იქ არაფერი დაგვიტოვებია. მე იქარადად მზად ვიყავი, ჩემი ავტომატის გარდა ვეკლავდით დამეტოვებინა, რადგან არ გვექონდა არავითარი გეგმა და სტრატეგია, როგორ უნდა მოექცეულიყავით. არც ის ვიცოდით, თუ რატომ გადაიხიროლეს ჩვენი

ნაწილი და რა დაგვლებს შენს უკლებს გვეკვალბოდა, რადგან ადვით თუ არა, რამდენიმე საათში დაბოშება დაიწყო...

საბრძოლო ტექნიკა ამ შემთხვევაში ვერ დაგვეტარებოდა და სწორად მოიქცენ ადამიანების სიცოცხლე, რომ მაინც გადააჩინეს.

ვისაც ის რამდენიმე წუთი საკუთარ თვებზე არ გამოუვლიდა, არ ვურჩევ ასე უსაფრთხოდ ილაპარაკოს გმირობაზე. ერთია, როცა მიზნისთვის იბრძვი და ამ მიზნის გმირულად შეწირები, მაგრამ მეორეა, როცა პირდაპირ ბომბების ქვეშ ხარ, ხელის განძრევის საშუალება არ გაქვს და რამიმე გაკეთებასაც არანაირი აზრი არ აქვს.

არტილერია იყო ჩართული ცხენის რუსის ბრძოლებში და როცა საქმეში რუსული ავიაცია ჩაერთო, ვეკლავდნენ, მაგრამ დეკარა და ერთ საათში ვეკლავდით მოშილა... ეს ჯარისკაცების ბრალი არ არის. ინტენსიური დაბომბვა ხორციელდებოდა და ასეთ ვითარებაში, შესაძლოა, ვიღაცები მხოლოდ თავის გადასარჩენად ვიქცობოდნენ.

— სამშვიდობოს როგორ დამოხვედით?

— თავდაცვის სამინისტროს ის ქვედანაყოფები, სადაც მე ძამინ ვირიციხეში, თითქმის უდანაკარგოდ გამოვიდით, მაგრამ ზუგდიდში ჩამოსვლების ქალაქში რუსული ჯარი დაგვიტყდა.

იარაღი მეთაურობას ჩაუბარეთ და განაწესე დავუვლიდეთ, — არვიან იცოდნა რა იქნებოდა შემდეგ. მახსოვს, ზუგდიდის ერთ-ერთი ქუჩაზე მოხუცმა ქალმა გამოიარა.

ამ დროს ჩვენ პოლიციის განყოფილების ეზოში ვიყავით თავმოყრილი. ამ ქალმა გვითხრა, — შეილებო, ერთ-ერთი გამოძვივით და უბრალო ტრანსპექტის მოგვეცითო. ზუსტად იმ დროს, ჩვენ წინ ოცამდე რუსულმა ჯავშანმანქანამ ჩაიარა, მაგრამ იმ ქალის გაუგავ მანქანა არავინ იცავდა. მართალი გითხრათ, ერთმანეთის მოგვევრდა. არადა, ვიცო, გულში ბევრმა ინატრა „გვარდნიები“ სცემოდა...

— თქვენ?

— ძნელია მტრის კოლონას აუღლებულად უყურო, როცა იცი, რომ ძალიან უსუსურია ხარ და თავდაცვა არ შეგიძლია. ჩვენ ფსიქოლოგიური მომხარება გავიარეთ, მაგრამ სიტუაცია, რომელშიც იმ დღეებში აღმოვჩნდით, არასდროს გავცხიხილავს...

ვიცი, რომ ჩვენ გარდა იქ 150-მდე ჯარისკაცი დარჩა, რომლებმაც სწორედ სამოქალაქო ტრანსპექტით დააღწიეს თავი რუს სამხედროებს.

თემური, 32 წლის:

— ჩვენი ასეული კოლონში ვველანზე მუტხანს დარჩა. იქაურობა მოსახლეობისგან უკვე დაცლილი იყო. აუხახუთის ლეტციათმური ხელისუფლების კორტეჯები და შინაბები თითქმის გადწარი იყო და მიუხედავად ამისა, ოჩამჩირის რეიდიდან რუსულმა კრეიხერმა ხეობის სარაკტო დამუშავება სამცხეში დაიწყო.

პარალელურად ბიჭები იგებდნენ, რომ ზუგდიდშიც რუსული ჯარი იყო შესული. ალყაში ვიყავით ამის მიუხედავად, მეთაურობამ ხეობიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო.

გვიგეთო, რომ საბრძოლო ტექნიკის ჩაბარების სანაცვლოდ, იქიდან ე.წ. უსაფრთხო კორიდორს გვთავაზობდნენ, დროც მოგვეცხე, 48 საათი. თან გავგაფრთხოვს, ერთი „სატყუარას“ მაინც თუ გადაუწყვდებით, ჩვენი კონტროლის ქვეშ ხართ და აქედან ვერც ერთი გადაწყვეტი.

კოლონის ხეობის წაწილს, სოფელ ავარას, არტყლიერა ჯერ კიდევ ამუშავებდა. წინააღმდეგობის გაწევას აზრი უბრალოდ არ ჰქონდა. ერთადერთი რაზეც ვფიქრობდით, იქაურობა უღანდაკაროდ დაგვეტოვებინა.

ვიდრე ჩვენი სამხედრო „კამპნი“ გამოსვლას დააპირებდა, სოფლის ცენტრში გადმოსულმა აუხახუბმა ცეცხლი გაგვიხსნეს, ვერ გეტყვით, ეს უბრალოდ სათქმელად და სატრაბახოდ უნდოდათ, ქართული სამხედროები ჩვენ გვეყვარეთო. მანქანიდან თვალის მოკარი, როგორ ჩამოხსა ერთ-ერთმა საერაულად, აფხაზმა (სამხედრო ჩაცმულობაზე ეტყობოდა) რომელიღაც შენობაზე დამატყუებული და დაწვას გადაჩრჩინებო საქართველოს დროშა და გამეტყუბო მოქინა ძირს. მაშინ მცირე პაპასუსო ცეცხლი გახსნით, რამაც მათი გააქტიურება გამოიწვია. შემდეგ ცეცხლი შეწყვეტით. მაშინ ვამბოვო, ახლა რუსები დაგვეტყუებ-მეთოც, მაგრამ იხიანი დუმდნენ.

— რამდენ ხანს მოგიწიათ იქ ყოფნა?

— ორ დღე, ამ ხნის განმავლობაში რუსული ავიაცია ლოკალურ დარტყმებს ახორციელებდა, ისე, რომ ჩვენი მხრიდან არანაირი პასუხი არ ყოფილა. მესამე დღეს, უფრო სწრაოდ, საღამოს, აჟარდენი საქონისენ დეიძარიოთ.

საუიაციო დაბომბვების ხმები ისევე იხმოდა ნაკლები ინტენსივობით, ალბათ უფრო ინფრასტრუქტურის განადგურებისკენ მიმართული, ვიდრე ქართული სამხედრო შენაერთებისკენ.

ჩვენ უკან კიდევ სამი მანქანა მოდიოდა. ფრებები არ ჰქონდა ანთებული, რომ ავიაციას მიზანში არ აუგეიანო.

იქიდან მესტიაში გადმუდით, მაგრამ ზუგდიდში ჩასვლა ვერ გავრეე. ვიციც, რომ ბუგნა მამის თხოიონ უშველა თვის, მესტიელებს სთხოქალაქო ტრანსაცემლი სიხოვა და ისე წვიდა შინ... ისიც ითქვა, რომ სვანებს აირადის სანაცვლოდ სიხოვდნენ სამცხედლობის გაყენასო.

მე რამდენიმე დღე იქ დავარი. არც ჩემი იარაღი დამიკარავს და არც კამუფლაგი გამიხნდა, მაგრამ არც სხვას დავუწვებ შორალის კითხვას, ვისაც როგორ შეეძლო, ისე მოიქცა. ისე ვი, ომის დროს ბერმა ჯარისკაცმა და უფრო მაღალი რანგის სამხედრო გამაჩინა ნამდვილი სახე, ფორმის ტარების ღირსი ვეველა არ ყოფილა.

რობერტი, 27 წლის:

— ერთადერთი, რისი წამოღებაც შეეძლიო, M4-ები იყო, რომელიც თან გექვლიო. მაშინ იქ დარჩენა და ბრძოლა გემორობა კი არა დიდი სიბრძნევე იქნეოდა. მანქანებით გამოგვიყვანეს. გზაში საწვივი გაგვითოვდა, მარაგის შეკვებაზე ლაბარაკივც ზედიქმით იყო. არადა, დრო აღარ ითქნდა.

მაშინ ოცმთაურმა გვიხარა, — ვისაც როგორც შეეძლიოთ, ისე უშველეთ თავსო. იქაურობის აზრზე არ ვიფივი და არც ის ვიცოდო, საით დავიგო უნდა წავსულიყვიო.

წიქიდა. ჩემთან ერთად 5 ბიჭი იყო. მოკლე გადარბენებით, ჩასაფრებებით, ხოხით და მცირე შესვენებებით ჩამოველიო საქონამდე.

ამ დროს ოჩამჩირიდან ენგურის ხიდან რობუტის კოლნა მოდიოდა. მათი გრუხუნე გვექსიოდა... ახლოდ სისხლო მეყინება იმ ხმის გახსენებაზე.

სამანქანო გზით წასვლას ვინ გაბეჯდოდა, იმ გზაზე რუსები აქტიურად გაადგილდებოდნენ, მისიქ ტექნიკა უკვე დაცლილი კოლონის ხეობაში ადიოდა. ისეთი შუქი ჰქონდა, გარშემო რამდენიმე კილომეტრს დღესავით ანათებდა.

სველ ბალახზე დამხობილები თავის აწევსაც ვერ ვებეღვიოთ არადა, გადაუღებლად წვიდა და პირში წვილი ჩავვიდიოდა. ერთმანეთს გამხვევებდით, როგორღაც გავუძლიოთ. გვემოდა, მაგრამ საჭმელი ვის ასხივდა.

ერთი დღე ხის ძირში შევი-

წვიეთ ენატრობდი, ოღონდ ერთი ლეინი სიგარეტი მოქცა და მერე სიკვდილიც არ ვინაღვლეთი-მეთოც. ბიჭებმა შემომიბრინეს, — მაგ „თუმპუკ“ კრინტი არ დაძირი. ხომ გავცაითო, ზოგა ჰყოი მარგებელიყო, — მაშინ დავხებეთ თავი მოწყვას... ბოლომდე სველი ვიყვიო.

ერთ-ერთს ქრონიკული ასთმა ჰქონდა და ხიხივის დროს, ჩასახუნთქი წამალი დავიხებო. ძალიან ცუდად გავიხნდა, ვეჭვეწოდით, არ მოკვდეთ... იქიდან ქვემო სვანეთში, ლენტქის რაიონში გადავედიო.

— საიდან გაიგეთ, რომ ლენტქეში იყოთ?

— წარწერა ენახეთ შემდეგ აფთიაქი გამოხნდა. უკვე კარგად გათქმებული იყო და დქმის ვიხებო, ოღონდ წამალი ჰქონდით იმ ბიჭსთიხი-მეთოც. გულწრფელად გეუბნებით, დაქვლილი რომ დამხვედრიოდა, ფანჯრებს ჩავმეტყვედი. რუსის ტყეეას გადარბენილო კაცი გვაკვებოდა და დანაშაულის ჩადენას დავუქმბდი. საბედნიეროდ, დია იყო.

ჩვენს დანახვაზე იმ ქალს ტირილი აუტყოდა. ყველანი შეგვიყვანა და კარი შვინიდან ჩაქცა. ამ ბიჭს წამალი მოსცა და მერე დაგაპურა კიდევ. გვხოხო, იარაღი ნუ გავლიოთ, რა იცით, ვინ შეგხედათო, დღეს არავის ნლობა არ შეიძლებაო. საღამომდე იქ დავრჩით. შემდეგ უბრალო ტრანსაცემლი და დიდი ჩანთა მოგვეცა და გამოგვისტურბო.

5 დღის შემდეგ სახლში ჩავედი. ჩემებს მკვდარი ვეკონე. ამის შემდეგ თუ ვინმე მუტყვის, კოლონის ხეობა ქართულ სამხედროებს უბრძოლველად არ უნდა დაეთმოთო, უბრალოდ წარმოგდენა არა აქვს იმ დღეებში იქ რაც ხედიოდა.

ლალა პაპასპირი

კოლონის ხეობის დაცვა არანსურად იყო დაგვეძლიო



კავკასიური მოვლენები



აზერბაიჯანს 75 მლნ დოლარის სახიმალოდ სარაკეტო კომპლექსი Uran-9 აქვს შეკვეთილი

აზერბაიჯანი

- 13 ივლისს აზერბაიჯან-ირანის საზღვაო საზღვარზე, ასტარის რიონის მახლობლად, აზერბაიჯანელი მე-საზღვრეების კატარის ბრძანებებს ირანელთა ნაფი არ დაემორჩილა, კონტრაბანდული ტვირთი ზღვაში ჩაყარა და მიძალაფე სცადა. ნაფი მყოფი სამი ირანელის დაკავება მაინც მოხერხდა, ხოლო მეციხოვნეებმა ზღვის სიღრმეიდან კონტრაბანდული 10 კგ ჰაშიში ამოიღეს.
- 13 ივლისს სწვლელების დროს ბაქოს მე-4 საარმიო კორპუსის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ტაბელური იარაღით ერთი თანამებრძოლი მოკლა, მეორე კი დაჭრა.
- 13 ივლისს ცეცხლის რეჟიმის შეწყვეტის დარღვევის გამო ნახჭევანში, შაჰპეის რაიონში, მე-5 საარმიო კორპუსის ერთ-ერთი ნაწილის ჯარისკაცი დაიჭრა.
- 16 ივლისს შუგების ხაზის თავუზის მიმართულებაზე ნეიტრალურ ზონაში აზერბაიჯანის არმიის დაჭრილი ზედადიანი მოსამსახურე მიბიძღური ტელეფონით ძმას დაუკავშირდა და ამის შესახებ შეატყობინა. მისი მოტივებმა მხოლოდ 17 ივლისს საღამოს

- მოხერხდა, მაგრამ ამ დროისთვის ის უკვე გარდაცვლილი იყო.
- რუსულმა კორპორაცია „ტექტიკურმა სარაკეტო შეიარაღებამ“ 19 ივლისს გააერცვლა ინფორმაცია, რომ 2010 წელს აზერბაიჯანმა მას 75 მლნ დოლარის ღირებულების სახიმალო-სარაკეტო კომპლექსი Uran-9 შეუკვეთა.
- 20 ივლისს ფონტის ხაზის თავუზის რაიონში ცეცხლის რეჟიმის

შეწყვეტის დარღვევის გამო დაიღუპა უფროსი ლეიტენანტი ჯაფარ იბრაჰიმ-ოღლი ჯაფაროვი.

- 20 ივლისს ბაქოში დისლოცირებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში 18 წლის ჯარისკაცმა თავი ჩამოიხრჩო.
- 20 ივლისს სტამბოლში საზღვაო ცერემონიაზე თურქეთის სამხედრო აკადემიების 2011-12 წლების კურსდამთავრებულებს პრეზიდენტმა აბდულა გიულმა დიპლომები გადასცა. კურსდამთავრებულთა შორის აზერბაიჯანელი ოფიცრებიც იყვნენ.
- 26 ივლისს აზერბაიჯანის არმიის სამხედრო მოსამსახურემ ფირუზ ფაზაზოვმა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გადაკვეთა და სომხურ მხარეს ჩაპბარდა.

სომხეთი

- თავდაცვის სამინისტროს პრეს-მდივანმა არწურუნ ოფანესიანმა თავუზის რაიონში ნეიტრალურ ზონაში აზერბაიჯანელ სამხედრო მოსამსახურის მკვლელობაზე კომენტარი გააკეთა. ოფანესიანის შეფასებით, სომეხმა მეთვალყურეებმა აზერბაიჯანელი როგორც კი შეინიშნეს, ცეცხლი გაუხსნეს. როგორც ჩანს, ის დაიჭრა, მაგრამ გულწევა ვეღარ შეძლო და გარდაიცვალა, — ასეთია სომხეთის სამხედრო უწყების მოხიბვა.

მოდერნიზებული T-90A ტიპის ტანკი



მიმოიღვა

„მანგუსტის“ პროექტის საპატრულო კატარა



ჩრდილო კავკასია

● 13 ივლისს ქალაქ ბარნაულის საგარეოზონო სამხედრო სასამართლომ საერთო რეჟიმის კოლონიაში 2,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა რიგით რუსულან დობრივეს. ის ბრალდებული იყო წესდების დარღვევაში, ღირსების დამცირებასა და ძალის გამოყენებაში. გამოძიებანი დადგინდა, რომ ქალაქ ნაზრანიდან გაწვეულმა დობრივემა 2011 წლის 25 ოქტომბერს 9 თანამებრძოლი გააღვიძა, ტორს ზემოთ გამოსულგება აიძულა, მწეობრში ჩააყენა და შემდეგ ფეხსაცმლის საცხით ზურგზე დააწყერა — **ИНГУШ СИЛА** (ინგუშის ძალა) და ამ ნაწერის ფონზე სურათი გადაიღო. დაზარალებულთა შორის იყვნენ რუსი, თათარი, ალთაელი ჯარისკაცები.

● ჩეჩნეთში ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველი გაწვევა ჩატარდა, რომელიც მაღალი მაჩვენებლით აღინიშნა: ერთ ეკანსიაზე 100 მსურველი მოდიოდა. რუსეთის შინაგანი ჯარის 46-ე ცალკეული ბრიგადის 249-ე სპეციალურ მოტორიზებულ ბატალიონში 150 წვედამდელი ჩაირიცხა და ისინი ჩეჩნეთში იმსახურებენ. მომავალი წლისთვის 300 წვედამდელის გაწვევა არის დაგეგმილი.

● ჩეჩნეთის ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა უარყო ინფორმაციის ძალეების შემადგენლობაში ჩეჩნები იბრძვიან. მისი აზრით, ეს ინფორმაცია რუსეთის პოზიციის დისკრედიტაციის მიზნით ვრცელდება.

● სამხრეთის სამხედრო ოლქის შეიარაღებაში შვედია მძიმე ცეცხლსატყორცი სისტემა **ТОС-А Буратино** და გაზრდილი სიშორის თერმობარული რაკეტები.

● კანსონადარის მხარის საერთო-საჯარისო პოლიგონზე სამხრეთის სამხედრო ოლქის ერთ-ერთმა სატანკო ქვედანაყოფმა მოდერნიზებული **T-90** ტანის ტანკების ათვისება დაიწყო.

კოვლიკაპი კავიონავი

ოკუპირებული აფსაზებით

● 12 ივლისს ოჩაჩირეში რუს საზღვაო მესაზღვრეთა დივიზიონს „მანგუსტის“ პროექტის ორი საპატრულო კატარა **ПСКА-621** და **ПСКА-622** შეემატა.

● 20 ივლისს სოხუმის უმადლეს საერთო-საჯარისო სამეთაურო სას-

წვლებელში 29 კურსდამთავრებულს ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. ერთ-ერთმა, ოერი ამინჩამ სასწავლებელი წითელი დიპლომით დაამთავრა.


ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 15 ივლისს ცხინვალში რეჟიმში ე. წ. რუსული სამშვიდობო ძალების შექმნის მე-20 წელი აღინიშნეს და ადგილობრივი ხელისუფლების ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა ჯილდოები გადასცა პოლკოვნიკ ვახტანგ პლიფს (ბატალიონ „ალანია“ მეთაური), გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვის (ე. წ. რუსული სამშვიდობო ძალების მეთაური), ოერი პოპოვს (საგანგებო დეპარტამენტი უკრაინული-ოსურ მოლაპარაკებაზე) და სხვებს.

თითღირამავალი მარაბალი

● 16 ივლისს თვითღირამავალი ქვეყნის ლიდერმა ბაკო სააკიანმა განაცხადა, რომ ყარაბაღში შეტების ხაზის გასწვრივ შექმნილი თვდაცვის მრავალშრიანი სისტემა მორწინადმდგვის შეჩერებასთან ერთად კონტრშეტევაზე გადასვლის საშუალებასაც იძლევა. მისევე შეფასებით განვილი 5 წელიწადში გაუმჯობესდება არმიის ბრძოლისუნარიანობა, გაფართოვდება საბრძოლო შესაძლებლობები, ამაღლდა მართვის სისტემის ეფექტურობა, მუდმივად ერთარგება საბრძოლო და სამობილიზაციო მომზადდება. სააკიანის დასკვნით, ყარაბაღის არმია რეჟიმში ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანია.

თმშურ ჩანახიძე



გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვს ჯილდოს ლეონიდ თიბილოვი გადასცემს



სწავლება „სოხუის“ მონაწილეობით

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო პოლიციის სანაპირო დაცვის საპატრულო კატარა P-24 „სოხუმა“ ფლისში ორ საერთაშორისო სწავლებაში მონაწილეობა მოასწრო.

ფლისის პირველ დეკადაში თურქეთში უმასპინძლა შეიზღვისპირა ქვეყნების სანაპირო დაცვის სწავლება Black Sea Hawk 2012-ს, სადაც „სოხუმის“ ეკაიპამ შეასრულა ერთობლედ მანევრებასთან, ტერიტორიაზე თავდასხმის მოგერიებასთან და აბორაჯის ოპერაციათთან დაკავშირებული ამოცანები.

სწავლებაში შეიზღვისპირა ექვს ქვეყანასთან ერთად შორეული იაპონიიდან ჩამოსული სანაპირო დაცვის ხომალდი PL 21 Kojima მონაწილეობდა.

იმედლოვლად თურქეთში ჩატარდა შეიზღვისპირა ქვეყნების ოპერატიული ურთიერთმოქმედების სასწავლო-სახვლო ჯგუფის (BLACKSEAFOR)

სამუშაო შეხვედრა, სადაც დამკვირვებლის სტატუსით საქართველოს ორი თურქეთიდან კურსი „სოხუმმა“ უკრაინისკენ აიღო და ოდესში უკრაინა-აშშ-ის ერთობლედ სწავლება Sea Breeze 2012-ში მონაწილე ქვეყნებს შეუერთდა.

„სი ბრიზი“ „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამით ტარდება და მასში NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნები მონაწილეობენ. რიგით მე-10 „სი ბრიზიში“ 17 ქვეყნის წარმომადგენლის მონაწილეობით შესრულდა მკობრუობასთან ბრძოლის, სტიქიური უბედურებისას დახმარების გაწვევისა და პუნაჩარული სახის ამოცანები, ჩატარდა მყენთავთა სწავრთვითი ვარჯიშები და სხვ.

„სოხუმმა“ მისი მეთაურის — III რანგის კაპიტან ბადრი ბოლქვაძის, გადასვლების ხელმძღვანელის — III რან-

გის კაპიტან გიორგი კიკაძის, ავრთვე სხვა ოფიცრებისა და მძღვლეურების კარგი მომზადებით ვეჯდა დეკადაებს ოფი შესანიშნავად გაართვა.

პირველად სწავლების ისტორიაში უკრაინელმა და ქართველმა სახვლო მესახვლეურებმა ერთობლედ რთულ მეტეოპირობებში დამთი, 3-ბაღიან ღღღვაში საუჭუო გემის გამოაღენეს, შეაწერეს და შმღვე გემზე საბორდავო გუნდმა გადასხეს.

უკრაინელი სახვლო ქვეითები კი ჯგუშანტრანსპორტიორებით ღიდ საღდასნტო ხომალდ „კონსტანტინ ილენსკიდან“ ნაბირზე დამსვენებელთა თვალწინ გაღმოსხნდენ და „მეკობრეთა ბანაკის“ განადგურების სცენა აჩვენეს.

სწავლებაში მონაწილეობაზე მოწვევა რუსეთის შუი ზღვის ფლოტსაც კონდა გადაცემული და როვიორც ერთ კომენტარში იყო ნათქვამი „მთი შვედლოთ ცოცხალ მონაწილედმდგესთან ერთად ერთ ტაქტიკურ ველსა და ერთ შტაბში ემუშავაო“, მაგრამ ეს შესაძლებლობა არ გამოიყენეს.

„სოხუმთან“ ერთად სწავლების სახვლო ნაწილში ასევე მონაწილეობდა აშშ სარაკტო საესკადრო ნაღმოსანი DDG-109 Jason Dunham, უკრაინული ფრეგატი U130 „პეტრან სავიდანნი“ და საბუქსირე გემი U705 „კრემენცი“, თურქული სარაკტო კატარდები P-331 Kalkan-ი და P-333 Tufan-ი და სხვ.

21 ივლისს „სი ბრიზი 2012“ დასრულდა და „სოხუმი“ საქართველოში დაბრუნდა.

„სი ბრიზი 2012“-ზე „სოხუმის“ ეკაიპამ სხვადასხვა სახის ამოცანები შეასრულა



ვნებათაღელვან სირიის ქიმიურ იარაღზე

სირიის სამოქალაქო ომმა, რომელმაც უკვე შეიწირა ათასობით ადამიანი, კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინა დასავლეთს — სირიის ხელისუფლებამ აღიარა, რომ ქიმიური იარაღი აქვს და მას მხოლოდ გარეშე აგრესიის აღსაკვეთად გამოიყენებს.

დღემდე ბაშარ ასადის რეჟიმი არ აღიარებდა და არც უარყოფდა ქიმიური იარაღის ქონას, თუმცა აშშ-ისა და ისრაელის სპეცსამსახურებს ქონდათ სადაზვერუო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯერ საბჭოთა კავშირისა, ხოლო შემდეგ რუსეთის დახმარებით სირიის არმიის შეიარაღებაში ქიმიური იარაღი გამოჩნდა.

საერაულოდ, ეს ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების (ზარინი, ზომანი, ტაბუნი), ადამიანის კანის დაზიანებელი (იპრიტი, ლუიზიტა) და მკვლავი (ფოსგენი, დიფოსგენი) ტიპის არეზია, რომელიც მალევე წწყითი ჩატულებულია საავიაციო ბომბებში, სააეროფრთხიო ტურბებსა და რაკეტების ქობინებში.

მაგალითად, საბჭოთა წარმოების EAC-250M ტიპის ქიმიური საავიაციო ბომბი 130 კგ-ს იწონის და მასში 45 კგ ზომანია ჩატუებული.

უფრო მძიმე საავიაციო ბომბში, 280 კგ-იან XAB-500-280C-ში, 164 კგ იპრიტისა და ლუიზიტის ნარევია მოთავსებული.

საერაულოდ, სირიის არმიის განკარგულებაში ამის მსგავსი საავიაციო ბომბები უნდა იყოს, რომელთა საბრძოლო გამოყენება ნებისმიერ სირიულ საბრძოლო თვითმფრინავსა და შვეულმფრენს შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ ქიმიური ბომბებით დატვირთული სირიული Cy-24 ტიპის საფრთხილ ბომბდამბეჩის საბრძოლო მოქმედების ზონაში ისრაელის დღაცაქალაქი ხვდება, ამ ქვეყნის ხელისუფლებას უფრო სხვა პოტენციური საფრთხე აჩუქებს.

ისრაელის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დამჩრებული ტემპით დაიწყო აირწინაღობის შექმნა, რადგან ისრაელის სპეცსამსახურები შეიძლება არცთუ უსაფრთხოდ შშიობენ, რომ ბაშარ ასადის რეჟიმი დაშლის შემდეგ სირიის



ქიმიური იარაღი ტერორისტების, მათ შორის „ჰესბოლას“ ხელში აღმოჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ სირია ისრაელთან ომის მდგომარეობაშია, სირიას ბოლო 30 წლის განმავლობაში ერთი ტყვიაც არ გაუყვარია ისრაელის მიმართოლობით, რაც ბევრს აფიქრებინებს, რომ ასადის რეჟიმი ევრც ახლა გაბედვის იერუსალიმისა თუ თელ-ავეის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებას.

მეორე მხრე, ასადის რეჟიმი მალულად ყოველთვის უჭერდა მხარს ლიბან-ში მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფება „ჰესბოლას“ და აიარაღებდა მას. მაგალითად, 2006 წელს, ლიბანის მეორე ომის დროს, „ჰესბოლას“ მებრძოლები რუსული (და არა საბჭოთა) წარმოების PNH-29 „ვამპირის“ ხელის ყუბარ-სატვირთვებითა და „კორნეტს“ ტიპის მართავი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებით ისრაელის ნაქვ „მერკავეს“ აფეთქებდნენ. ეს თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო იარაღი სირიას რუსეთისგან ოფიციალურად ქონდა შექმნილი, რომლის ნაწილი „ჰესბოლას“ გადაუღოცა.

ეს და სხვა ფაქტები აძლევს საშუალებას ისრაელის სპეცსამსახურებს, არ გამოირეცხონ „ჰესბოლასგან“ სირიული ქიმიური იარაღით შეტყვის საშიშროება. რა თქმა უნდა, „ჰესბოლას“ საავი-

აციო ბომბების გადამტანი საფრენი აპარატები არ ჰყავს, მაგრამ ამ ბომბების ავტორტრანსპორტით მალულად გადატანა და ქალაქის ხალხმრავალ ქუჩაში აფეთქება შეიძლება.

რაც შეეხება ქიმიურ საარტილერიო ტურბებსა და რაკეტებს, მათი სასრული და გასაშვები დანადგარები „ჰესბოლას“ აქვს, რაც საფრთხეს უქმნის ისრაელის წინააღმდეგ ნაწილში მდებარე ქალაქების მკვიდრთ, რომლებიც არაერთხელ გამხდარან „ჰესბოლას“ „გრადების“ საშიშრეები.

როგორც ჩანს, თუკი ასადის რეჟიმი დაემხო, დასავლეთის, მათ შორის ისრაელის საცდანიშნულების ჯგუფები ნადირობას დაიწყებენ სირიის არმიის ქიმიურ იარაღზე, რათა ხელში არაღის აჩუქარდეს, მათ შორის არც შეიარაღებულ ოპოზიციას.

ქიმიური საავიაციო ბომბებისა თუ საარტილერიო ტურბების ტრანსპორტირება დიდ საფრთხეს შეიქვს და მისი შესაძლებლობა ზემოსხენეულ სპეცჯგუფებს ნამდვილად არ ექნებათ საერაულოდ, შეეცდებიან ადგილზევე ააფეთქონ ქიმიური იარაღის საწყობები, რაც ნამდვილად დიდ საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას.

ირაკლი ალაფაშვილი



ზინ ეპუჩება და რობორ იხავენ ლონდონის ოლიმპიადას

585 მლნ გიკანაჲ სბერლინი და 40 ათასი კახი, „აჲასი“, „ბაიუნაბი“, „აჲუბი“, „ლინსაბი“, „რაიკაბი“ და შუალუბრაჲილი თაჲაჲი — ეს ყვალუბრაი ლონდონი ოლიმპიური თაჲაჲის დასახაჲად

27 თელის გახსნილი 30-ე ოლიმპიური თამაშები ლონდონში 12 აგვისტოდან გაგრძელდება. ორი კვირის განმავლობაში ლონდონში ათასობით სპორტსმენი და მილიონობით ტურისტი მოიყრის თავს, რაც უფრო სახიფათოს გახდის მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უდიდეს ქალაქს, რადგან შეიძლება ათასი ჯურის ტერორისტმა ცხადოს თავის „გამორჩენა“.

ლონდონში აქამდე ოჯერ (1908 და 1948 წლებში) ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, მაგრამ მამინ ტერორისტთა თავდასხმის სამომავლოზე არაფერი ფიქრობდა.

დღეს კი სიტუაცია სხვაგვარია, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ლონდონში გასულ წლებში უკვე მოხდა რამდენიმე ტერორისტული აქტი: ააფეთქეს მეტროსადგომი და ავტობუსი.

ამჯერად საერთაშორისო ტერორისტული თავდასხმის სამომავლო შეიძლება უშუალოდ ოლიმპიურ ობიექტებს (პირველ რიგში ახალგახსნილი 80-ათასკაციანი ოლიმპიურ სტადიონს), სპორტსმენებსა და მაყურებლებს დაემუქროს.

40 წლის წინ ოლიმპიური თამაშები გახდა ტერორისტების თავდასხმის ობიექტი. 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დროს რადიკალური ტერორისტული ორგანიზაცია „სუიხტემერი“ თავს დაესხა ოლიმპიურ სოფელს და მძევლებად აიგვანა ებრაელი სპორტსმენები. მამინ გერმანიის სპეცსამსახურებმა მძევლების გათავისუფლებისთვის წარუმატებელი სპეცოპერაცია ჩატარეს, რასაც 11 მძველისა და ერთი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა, მოკლეს 5 ტერორისტი, 3 კი დააკვეს. სხვათა შორის, გერმანიის მთავრობამ სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გადაწყვიტა, შეექმნა ტერორიზმთან მებრძოლი სპეცდანიშნულების დანაყოფი GSG-9, რომელიც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მოშაზებულ სპეცრაზმადა მისჩვეული.

რომ არ განმეორდეს 40 წლის წინანდელი ტრაგიკული შემთხვევა, „ოლიმპიადა 2012“-ის ორგანიზატორებმა დიდი ყურადღება დაუთმეს უსაფრთხოების ზომების გატარებას.

ოლიმპიადის უსაფრთხოების ბიუჯეტმა არნახულ ციფრს — 585 მლნ გირანაჲ სტერლინგს მიაღწია, უსაფრთხოების ოლიმპიურ თამაშებზე 40 ათასი კაცი უზრუნველყოფს, მათ შორის — 13 ათასი პოლიციელი და 17 ათასი სამხედრო.

უსაფრთხოების სამსახურები, უპირველესად, რა თქმა უნდა, აფეთქებებს უფრთხიან, ამიტომაც პოლიციელები და სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სპეცსამსახურების აგენტები ხალხის მასში გაერევიან პოტენციური ტერორისტების დროულად აღმოსაჩენად და გასაუვნებლად.

ისინი აღჭურვილი არიან თანამედროვე რადიოლექტრონული მიწვიბილიბებით, მათ შორის — გეიგერის მთვლელებით, მომატებული რადიოაქტიური ფონის დასაფიქსირებლად.

ლონდონში გასულ წლებში ტერორისტული აფეთქებების შემდეგ დიდი ყურადღება დაეთმო ქუჩებში ვიდეოკამერების მასობრივად დაყენებას, რომლებიც ერთი ცენტრიდან იმართებიან. ვიდეოთვალთვალის საშუალებით ბრიტანული სპეცსამსახურები საუკუო პირების ოპერატიულად გაკონტროლებას შეეცდებიან.

თუმცა, განსხვავებით წინა ოლიმპიადებისგან, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ქვეით ტერორისტებზე არანაკლებ მათ სახაჲო „თანამომხმდებ“ უფრთხიან. არ არის გამორიცხული, რომელიმე კარგად დაფინანსებულმა საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციამ უპილიტო ან პილიტერული

საფრენი აპარატის, რომელშიც მძღვერი ასაფეთქებელი მოწყობილობა იქნება მოთავსებული, გამოყენება სცადოს.

ლონდონის ოლიმპიური თამაშების პაერიდან დასაცავად შეიქმნა ობიექტური საპაერო თვდაცვის დროებითი სისტემა, რომლის მსგავსაც საქართველოს საპაერო თვდაცვა მხოლოდ ინატრება.

ლონდონის გარშემო გამოცხადდა 50 კმ-იანი აკრძალული საპაერო ზონა, რომელსაც გააკონტროლებს შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის „აეაქსი“.

მისის დასაწყისში, ოლიმპიადისთვის შზადებისას, ჩატარდა სპეციალური სწავლება, სადაც სწორედ „აეაქსი“ აღმოაჩინა ლონდონის ცენტრისკენ მფრენი ობიექტი და მასზე გამანადგურებელი „ტრაიფუნი“ „გაიყვანა“.

თუკი ტერორისტები შეეცდებიან უშუალოდ ქალაქიდან აფრინონ მიმცრო უპილოტო საფრენი აპარატი, მისი აღმოჩენა და განადგურება „პუმას“ და „ლინქსის“ ტიპის იმ შვეულმფრენებს დაეულებაო, რომლებიც მუდმივად იქნებიან „ჩამოკიდებული“ ლონდონის თვზე. სხვათა შორის, „ლინქსები“ იმ შვეულმფრენზიდზე ბაზირებენ, რომელიც სპეციალურად შეიყვანეს ლონდონის შუაგულში, მდინარე თეზაში.

ლონდონის პაერიდან დაცვისთვის გამანადგურებლებისა და შვეულმფრენების გარდა გამოყენებულია საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, მათ შორის — „რაპიას“ ტიპის, რომლებიც მოსაზღვობის დიდი უკმაყოფილების მიუხედავად, ოლიმპიური სტადიონის გარშემო მაღალსართულიანი სახლების



საზურგებზე დააყენეს. იმედა, ოლიმპიური თამაშები ექსცეხების გარეშე ჩავლის და ქართველი სპორტსმენები წარმატებას მაღაწვევენ.

ირაკლი ალადაშვილი

Rapier-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები ლონდონში ოლიმპიური სტადიონის გარშემოა განთავსებული





ოკუპირებული ცხინვალის რუსული სამხედრო ბაზა

რუსეთის პოლიტიკურ-სამხედრო ხელმძღვანელების ერთ-ერთ მთავარ მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში სამხედრო ყოფნის შენარჩუნება და 2008 წლის აგვისტოს ომში სამხედრო ინტერვენციის გზით ეს ამოცანები შესრულდა, — ოკუპირებულ აფხაზეთში მე-7 და ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მე-4 სამხედრო ბაზა გაჩნდა.

2010 წლის 7 აპრილს მოსკოვში რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდუკოვმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრმა, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტმა იური ტანაევმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსული გაერთიანებული სამხედრო ბაზის შესახებ“.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსულმა ჯარებმა „კანონიერად“ გაიფორმეს 49-წლიანი ყოფნის გარანტია და შექმდომში შეთანხმების ავტომატურად 15-წლიანი პერიოდებით გაგრძელების უფლებაც მიიღეს.

ვლადიკავკაზის მე-19 მოტომსროლელი დივიზიის 693-ე მოტომსროლელი პოლკისა და სხვა ქვედანაყოფთა საფუძველზე ცხინვალის რეგიონში ჩამოყალიბებული მე-4 ბაზა სრულფასოვანი მოტომსროლელი ბრიადაა.

რუსული ბაზა ქალაქ ცხინვალის დასავლეთით მდებარეობს და მის შე-

მადგენლობაში ასევე შედის ჯავის რაიონში განთავსებული რიგი სამხედრო ობიექტები.

ბაზას აქვს სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა ყაზარმებით, ოფიცერთა საცხოვრებელი სახლებით, საბრძოლო ტექნიკის პარკით და ა.შ.

ჯავიდან ჩრდილოეთით 3 კმ-ში სოფელ ხეწესთან ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე აიგო კეების პროექტებისა და საწკაუ-საპოხი მასალების საწყოების, მომზადდა 10-12 შეუქმდომების

მისაღებად საჭირო ასაფრენ-დასაშვები მოედნები.

მე-4 ბაზა შედგება 3 მოტომსროლელი და 1 სატანკო, კავშირის, მზერეთა, რადიოელექტრონული ბრძოლის, რადიაციულ-ქიმიური დაცვის, საინჟინერო-მესანგრეთა, სამედიცინო და უზრუნველყოფის ბატალიონებისგან, აგრეთვე თვითმავალი საარტილერიო, ტანკსაწინააღმდეგო, სახეივთოსარაკეტო და რეაქტიული არტილერიის დივიზიონებისგან.



ბაზის სადაზვერვო ქვედანაყოფების განკარგულებაში მივიპ-ის ტიპის სადაზვერვო-საპატრულო მანქანებია



ორი მოტომსროლელი ბატალიონი БМП-2-ებითა ხოლო ერთი კი — БТР-80-ებით არის აღჭურვილი.

ბატალიონების შეიარაღებაში ასევე შედის სამეთაურო-საშტაბო მანქანები (Р-149 БРМ Кушетка-Б), მოძირავი სადაზვერვო პუნქტები (ПРП-4 Хард-ი), თვითმავალი 30 მმ-იანი საზენიტო დანადგარები (МТ-ЛБ 6МБ), ქიმიური დაზვერვის მანქანები (РХМ) და სხვ.

მოტომსროლელი ქვედანაყოფების საპაერო თვდაცვას საზენიტო-სარაკეტო (9А35 Стрела-10М3) და საზენიტო სარაკეტო-საქვემზო კომპლექსები (2С6 Тунгуска) უზრუნველყოფენ.

სატანკო ბატალიონი მთლიანად Т-72Б(М) და Т-72Б ტიპის ტანკებით არის დაკომპლექტებული.

სადაზვერვო ქვედანაყოფების შეიარაღებაშია КАМАЗ-43269-ის ბაზაზე შექმნილი სადაზვერვო-საპატრული მანქანები Дозор-ები და სხვა ახალი ტექნიკა.

თვითმავალი საარტილერიო დივიზიონის განკარგულებაშია 152 მმ-იანი თვითმავალი პაუციეები (2С3 Акация), ხოლო რეაქტიული არტილერიის დივიზიონი კი 122 მმ-იანი БМ-21 Град-ებით არის დაკომპლექტებული.

ბაზის საპაერო თვდაცვას ОСА-АКМ-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები უზრუნველყოფენ.

ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა აღჭურვილია „კალაშნიკოვის“ სხვადასხვა მოდელის ავტომატით, СВД-С-სა და СВ-98-ის ტიპის სნაიპერული შაშხანებით, ტყვიამფრქვევით, ყუმბარსატყორცი РПГ-7-ებით, ავტომატური ყუმბარსატყორცი АГС-17-ებით, ცეცხლსატყორცი Шмель-ებით, 82 მმ-იანი ნაღმსატყორცი 2Б14 Поднос-ებით და სხვ.



ჯვარისკაცების ვაზარმა გარედან და შიგნიდან



სამხედრო ბაზის სასადილოს მომსახურე პერსონალი ადგილობრივი მოსახლეობით არის დაკომპლექტებული

2010 წლის ბოლოს ცხინვალის რეგიონში 300 მმ-იანი ზაღპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა 9K589 Смерч-ის დივიზიონი განლაგდა.

